საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

**ბრძანება N 30**

ქ. თბილისი

25/01/2017

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო და სატენდერო კომისიის შემფასებელი და მუშა ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესსა და პირობების, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის შესრულების მიზნით და „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“, „კ“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო და სატენდერო კომისიის შემფასებელი და მუშა ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესი დანართის შესაბამისად.

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო და

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

სატენდერო კომისიის შემფასებელი და მუშა ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 30 ივნისის №142 ბრძანება.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

**გიორგი სეთურიძე**

**დეპარტამენტის თავმჯდომარე**

.

**დანართი**

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო და სატენდერო კომისიის შემფასებელი და მუშა ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სატენდერო და საკონკურსო კომისიების (შემდგომში – კომისია) შექმნა, უფლებამოსილება, შექმნის მიზანი, ამოცანები, სტრუქტურა, საქმიანობის წესი და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით სხვა საკითხები განისაზღვრება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესის და პირობების, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო და სატენდერო კომისიის შემფასებელი და მუშა ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს დეპარტამენტის კომისიის ტექნიკური და საორგანიზაციო საკითხების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შემფასებელი და მუშა ჯგუფების შექმნისა და მათი საქმიანობის საკითხებს.

3. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონსა და მის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

**მუხლი 2. შემფასებელი და მუშა ჯგუფები**

1. სახელმწიფო და საერთაშორისო შესყიდვების პროცედურების სათანადო წესით განხორციელების, ასევე კომისიის წინაშე არსებული საორგანიზაციო საკითხების უზრუნველსაყოფად, კომისიის გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება შემფასებელი და მუშა ჯგუფები, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

2. შემფასებელი და მუშა ჯგუფების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ დეპარტამენტის საჯარო მოხელეები, მოწვეული სპეციალისტები, ექსპერტები და სხვა პირები.

3. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით, შემფასებელ და მუშა ჯგუფებს განესაზღვრება ვადა დავალების შესასრულებლად.

4. კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში მუშა ჯგუფი შეისწავლის მის წინაშე დასმულ საკითხებს და შესაბამის დასკვნას, წერილობითი ფორმით, რეკომენდაციის სახით წარუდგენს კომისიას.

5. მუშა ჯგუფის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შემოწმება და შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესაბამისობის დადგენა საკონკურსო და სატენდერო პირობებთან;

ბ) პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი მანქანა–დანადგარების ტექნიკური მონაცემების შემოწმება სატენდერო პირობებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების თვალსაზრისით (საჭიროების შემთხვევაში ადგილზე გასვლით);

გ) კომისიის დავალებით სხვა უფლებამოსილებების შესრულება.

6. საერთაშორისო შესყიდვების პროცედურების განხორციელებისას შემფასებელი ჯგუფი უზრუნველყოფს შესყიდვაში მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი წინადადებების შესაბამისობის დადგენას კონკრეტული შესყიდვის საგნის მიმართ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან და შეფასების შედეგებს რეკომენდაციის სახით წარუდგენს კომისიას მის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

7. საერთაშორისო შესყიდვების პროცედურების განხორციელებისას შემფასებელი ჯგუფი სხდომამდე არაუგვიანეს ერთი დღის ვადაში, გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა, კომისიის წევრებს აწვდის დღის წესრიგს და შესყიდვების პროცედურების უნიკალურ ნომერს ასეთის არსებობის შემთხვევაში.

**მუხლი 3. საავანსო და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიების სატენდერო პირობებთან შესაბამისობის შემოწმება.**

1. სახელმწიფო ბიუჯეტით და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილ, ავანსის უზრუნველყოფის გარანტიების სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ნიმუშთან შესაბამისობას ამოწმებს დეპარტამენტის ფინანსების მართვის სამსახურის უფროსი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში უფროსის მოადგილე ან შესაბამისი მოვალეობის შემსრულებელი.

2. სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ პროექტებზე წარმოდგენილ, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიებს ამოწმებენ:

ა) ტექსტობრივ ნაწილში, სამართლებრივი კუთხით – დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის სახელშეკრულებო უზრუნველყოფის სამმართველოს

უფროსი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში იურიდიული სამსახურის უფროსი ან უფროსის მოადგილე.

ბ) სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის ნაწილში – კომისიის აპარატის შესაბამისი წევრი, ან დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის შესაბამისი საჯარო მოსამსახურე.

3. საერთაშორისო პროექტებზე წარმოდგენილი, სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ნიმუშთან შესაბამისობას ამოწმებს ყოველი კონკტრეტული შესყიდვისთვის სატენდერო კომისიის მიერ ამ წესის შესაბამისად განსაზღვრული შემფასებელი ჯგუფის ხელმძღვანელი, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში დეპარტამენტის საერთაშორისო შესყიდვებისა და დონორებთან ანგარიშგების სამსახურის საერთაშორისო პროექტების დაფინანსებით შესყიდვების ორგანიზების სამმართველოს უფროსი, მისი არყოფნის შემთხვევაში საერთაშორისო შესყიდვებისა და დონორებთან ანგარიშგების სამსახურის უფროსი ან უფროსის მოადგილე.

**მუხლი 4. პასუხისმგებლობა წესის შესრულებაზე.**

წინამდებარე წესის შესრულებაზე პასუხისმგებელია კომისიის თავმჯდომარე.